მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №10
2022 წლის 25 იანვარი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის შესაბამისად:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კახაბერ ჯგერენაია (პირადი №29001006992).
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს საკრებულოს მიერ დადგენილი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა